



# ენიანბნი

ნახ. ნადარეიშვილის

„ბურჟუაზიას უფუძლავი უფვი არ  
ჰქონდეს იმავი, რომ საბჭოთა კა-  
ვშირის მუშათა კლასის მრავალრი  
ცხოვანი მემოზრებეი მფროკასა და  
აზიავი უმეცდებინან ზურბიდან და  
ჰკან თავის მრავმრელებს“  
(სტალინი).



— ხელები უორს საბჭოთა კავშირისაგან!



# ო მ ი--ო მ ს

ისმ, როგორც ისტორიული მიმოხილვა



ოცი წელი.. განა იცის  
 კი თაობამ ახლანდელმა,  
 თუ რა ძვრები მოახდინა  
 ამ გასულმა ოცმა წელმა?  
 განა წვერმა კომკავშირის,  
 თუ ჭაბუკმა მუშაკელმა,  
 ახალგაზრდა კოლმეურნემ  
 კომბაინით ყანის მკვლმა,  
 ან თუ ქვეყნის მოდარაჯე  
 ახალწვეულ არმიელმა  
 ოქტომბრის მხით გამოზრდილმა  
 აწ ჩვენმა თუ უცხოელმა —  
 ვინც იბრძვის და უხარბან  
 მშრომელთა წინ ვალის მოხდა,  
 განა იცის ყველაფერი  
 რაც ოცი წლის წინად მოხდა?  
 — ვა, იცის და განა ვგრე? —  
 ყველაფერი გაუგია.  
 — მაგრამ მისი გახსენება  
 ხომ არ არის აუკვია?  
 — რის აუგი შენ ამბები  
 ჩამოყაჭე ნელა-ნელა,  
 ვერა ხედავ მოსილან და  
 ინტერესით გისმენს ყველა!

სარაევოში გაგაოდა  
 პატარა რევოლუცია, —  
 მერცხლი ვადაყირავდა  
 და სისხლით მორწყო მტვერია  
 — მარიქა, მოკლეს მემკვიდრე  
 დიდი ავსტრიის ტახტისა,  
 ფრანც-იოსები ნოტას სწერს,  
 ვილჰელმ — ციყვივით დახტისა:

— ომს ვაცხადებთო იძახის, —  
 სიამით განაფრანგია, —  
 — ომს გიცხადებთო, უთვლიან.  
 შას ინგლისი და ფრანგია,  
 — ომს ვიწყებთ აქეთ იძახის  
 რუსეთის მეფე ნიკოლა, —  
 — ომი გვსურს! ბორგავს ევროპა,  
 სურთ ერთმანეთის მიყოლა.  
 და დამთვრალ იმპერიალიზმს,  
 ყალყზე შემდგარსა უფსკრულ-  
 სას,  
 სისხლის ღვრის, მსოფლიოს  
 ხგრევის  
 სურვილი შეცაუსროლდა:  
 ენა და ხმალი გაღვსეს —  
 მძლე იარაღი შეტათა,  
 პირველი — ხალხის საბრძოლველი,  
 მეორე — გასაულტათა.  
 ორივე გამოიყენეს,  
 ისე — ვით იყვენ მდგომია,  
 და ცეცხლის ალად მოედო  
 მთელსა მსოფლიოს ომია!...

— მერე რამდენ ხანს გაგრძელდა  
 ეს ომი დაუვიწყარი? —  
 — ოთხ წელს ვასტანა ამ უღეტამ  
 პუმცა იბრძოდნ სიცხარით.  
 — აო ვანადგურდა ქვეყანა? —  
 ხევრი დახოცეს მეონია;  
 — ბევრიო? — მარტო მოკლული  
 ჯერ ათი მილიონია,  
 დაჭრილიც სამი ამდენი  
 თან საზიარიც სხვა არი, —  
 სისხლი იმდენი დაღვარეს,  
 რაც ოკეანეს ზღვა არი.  
 მშრომელთა ხელით შექმნილი  
 დოვლათი, სარჩო-საბადი  
 აწ ტყვია - წამლად აქციეს  
 და დანსწვეს, როგორც ნაბადი.  
 მოკლედ ის ომი გადიქვა  
 სისხლის და ნგრევის ზალადა,  
 მსოფლიოს მისი ჭრილობა  
 დიდხანს ექნება დაღადა...  
 — ახლა ეს კითხვაც: ხომ მოხვ-  
 დათ  
 ამ სასაკლავოს მომწყობთაც?  
 — ამ წამში ყველას გაგაცნობთ —  
 მოცხებულთაც და მომცხობთაც:

იცოცხლე მოხვდაც იმათაც.  
 მაგას რათ უნდა მკითხავი? —  
 გამოსაცვლელი ვაუხდათ,  
 მაგრამ სად ჰქონდათ ნიჭხავი?!

— „ომი-ომს“, როცა ისროლა  
 ცეცხლის ლოზუნგი ლენინმა, —  
 მსოფლიო დაბარბაცა  
 მის სიტყვამ მეხად ვლენილმა;

ეს სიტყვა წამლად დაედო  
 ხალხს — ჭრილობა რომ ტკიოდა, —  
 და გვირგვინები მეფეთა.  
 პანტასავითა ცვიოდა:  
 ამ ომის შემდეგ ვილჰელმი  
 სკიბტრის დაკარგავს ჩიოდა, —  
 ფრანც-იოსებმა მოასწრო  
 ცრემლის ღვრა — საიჭიოდან  
 ნიკოლოზს — რევოლუციამ  
 დასცხო ძლიერი ლახტია, —  
 ნიყვავით კოსრო-გასრესილს  
 აუყრავთ ტახტია, —  
 მოკლედ მრავალმა მონარქმა  
 ყველას მოგჭამათ ჭირია, —  
 მაგრამ ამ ხარა-ხურისა  
 ხსენება რაღად გჭირია?  
 რაც ჩადგა ომის გრიგალი,  
 უკვე თემქსმეტი წელია,  
 ნახეთ დაყოთო მსოფლიოს  
 გზები რარვიად ჭრელია:  
 აქ სოციალიზმს ვაშენებთ,  
 იქ-ისევ იქებს ელიან!..

დასავლეთი კვლავ ტორტმანობს,  
 ომის ცოჯი მორეგია, —  
 და უნდა რომ კვლავ იხილოს  
 დაღვრილ სისხლის მორეგია, —  
 და სიკვდილის მანქანებით  
 კბილებამდე აღჭურვილი, —  
 დღეს წამიზმი — ომზე ბოდავს  
 სხვა არა აქვს მას სურვილი.  
 თუმც კრიზისს და სილატაკეს  
 ღამბლასაჯერ შეუპყრია.  
 მაგრამ მაინც ომი სწყურით, —  
 და იარაღს არა ჰყრია! —  
 თუმც მსოფლიო ოქტომბრის ხმა  
 ძღვეის რისხვად უკვი იხმის,  
 მაინც ომი-ომის სუნთქვით  
 სუნთქავს იმპერიალიზმი, —  
 და თუ თვალთმაქც ლათაიებს  
 „მშვიდობაზე“ ლაყობს მრავალს, —  
 არ ერწმუნოთ, მას ომი სურს.  
 ომში ეძებს გამოსავალს:  
 ომი სწყურის იაპონელს,  
 თუ ფამისტურ გერმანიას, —  
 მათთან არის ყველა ვისაც  
 იმპერიალიზმი სცხია  
 ომი და ის — პირველ რიგში  
 საბჭოეთის წინააღმდეგ  
 ასეთია მათი ზრახვა,  
 აწ ყოველი წამის დამდეგს:  
 თოფის წამლის საწყობებად  
 მთელ მსოფლიოს მიტომ ქმნიან  
 და ამ საწყობს ყოველმხრიდან  
 ცეცხლით ეთამაშებიან...  
 მაგრამ ერთი ავიწყდებათ, —  
 ჭკვა ბნელით აქეთ დაკეტილი  
 რომ არსებობს ამ ოცი წლის  
 უდიდესი გაკვეთილი  
 რომ თუ პირველ მსოფლიო ომს  
 მხოლოდ იმის შექმნესდზე  
 საბჭოეთი აღმოცენდა  
 და მშვიდობის ზრუნავს ბედზე  
 მეორე ომს უნდა მოჰყვეს  
 კიდევ ხუთი მეექვსედის —  
 საბჭოეთი ხალხთა ძმობის  
 და მშვიდობის გამომწვევი.  
 მაშ ომი-ომს, აი ჩვენი  
 ლოზუნგი და განაჩენი, —  
 რომ მოისპოს აწ ფაშიზმი  
 სისხლის ღვრისთვის განაჩენი!

ვარსაძან.





ქართული  
ბიბლიოთეკა

# მომიღობიანობისა და განთარალების კონფერენციასზე

ნან. კროტკოვის.




— ღაიფუბას ახლა თავისებურად. მუღამ მომიღობიანობასა და განთარალებასზე გაიქახის. საქვირვე-  
ლია მისი საქციელი ვიყო მასაჰით ქლიეკი: 160 მილიონი ვრთსულუმანი მოსახლეობა, მიწის ვართი მუ-  
ემგსედი შრგებლგვარი ბუნებრივი სიმდიდრით და განვითარებული ბეჰნიკით, —მე ვიცი რასაც ვიზაგდი!



# ქართული ტყე

(ზღაპარი ჩვენი ღროის სინამდვილიდან)



იყო ერთი მოხუცი თავადი, სახელად კაპიტალიონი, სიკვდილის პირად იდგა, სულ დამუწოკებული ჰქონდა სხეული და ჩირჭი სდიოდა. დიდი დღე მოელოდნენ მის სიკვდილს, მაგრამ არ კვდებოდა. ფული ბევრი ჰქონდა, რაც კი მოესურვებოდა, ყველაფერს შეისრულებდა, როგორც კი იგრძნობდა სიკვდილის მოახლოებას, სისხლს დაღვედა, რომ დამკურნარი ძარღვები ამოქმედებულიყვნენ.

ერთხელ, როცა იგრძნო, რომ სიკვდილი უახლოვდებოდა და ეს გარემოება მსახურთ უხაროდათ, მან თავის ერთ მსახურ ახალგაზრდა ქალს წინადადება მისცა ცოლად გაყოლოდა. ქალს სახელად ამსტერდამა ინტერნაციონალი ერქვა.

ქალი მაშინვე დაეთანხმა. როცა ამის შესახებ მას უსაყვედურეს სხვებმა, მან თქვა:

— უკვდავია, სჯობია მასთან შეჩვიება და კარგ განწყობილებაში ყოფნა. მდიდარია, კარგად მაცხოვრებს, სხვა არაფერი მინდა. მისი სიკვდილი ამისთვის მინდოდა. და რაკი კეთილ ცხოვრებას მივალწიე, ჩემი ბრძოლა დამთავრებულად მიმაჩნია. მერწმუნეთ, მეგობრებო, რომ თქვენ არ დამავიწყდებით და კაპიტალიონს პირობებს გავავუმჯობესებებ თქვენთვის.

მისდამი დამოკიდებულება. მოხუცმა თავადმა უარეს პირობებში ჩაყენა მსახურნი.

— ეჰ, ტყუილად გვეგონა, რომ ამსტერდამა შეგავლენას მოახდენდა თავადზე და ჩვენს პირობებს გაუმჯობესებდა.

— მე მაშინაც ვიცოდი, რომ ამსტერდამა ტყუილს ამბობდა, მაგრამ ზოგიერთებს არ გჯეროდათ. ახლა ხომ დარწმუნდით!

— დავრწმუნდით, გავიგეთ. ასეც სჯობდა. ახლოვდება მათი აღსასრული! — ამბობდნენ მსახურნი და კბილს ამსტერდამაზედაც ისევე იღვსდნენ, როგორც კაპიტალიონზე.



— გადაგვაოცა ულლა ჩვენს ყაიდაზე და არა უშავს. შეილო!

— საქმეც ეს არის, რომ გადაგვარებულია და უფარგისი. მერწმუნე მამაჩემო, რომ მე დედაჩემზე უკეთ გავუძლები ჩვენს ოჯახს.

— მეც ვხედავ, ჩემო პირშო ამას და გადაწყვეტილი მაქვს გავეყარო, გავშორდე, გავაგდო.

— მამილო, ეს მე მომანდე. შენ გამოუტყვადე მხოლოდ და მერმე ჩემი საქმე იყოს, კუდით გასროლინებ ქვას.

ამ ლაპარაკში იყვნენ მამა და შვილი, როცა მათთან შემოვიდა ქ-ნი ამსტერდამა.

— თქვენ შეასრულეთ თქვენი მოვალეობა. ამიერიდან აღარ ხართ საჭირო და...! — ფაშომ განაგრძო მამის მაგიერ:

— და არ დაგინახოთ ჩვენ მახლობლად!


ეს უთხრა დედას თუ არა, მოახტა ზურგზე, პირში ლაგამი ამოსდვა და დასცხო მათრახნი.

როცა ეზოდან ქუჩაში ქენებით გამოვარდნენ. ფაშო ჩამოხტა, წიხლი მიაცოლა დედას და ხარხარით მიიძახა:

— დაიკარგე აქედან, შე წუპაკო შენა!



გავიდა ცხრა თვე და ბენიერ ცოლქმარს შეილი შეეძინათ. მაშინვე მას ფაშო დაარქვეს. დიდი მზრუნველობით გამოზარდა დედამ შეილი. დიდ ხანს აწოვა ძოძუ. მოუსვენარი ბავში იყო ფაშო. ყველას სცემდა. მამას ჟხაროდა და იცინოდა; როცა ფაშო დაერეგოდა მსახურთ და სცემდა. დედა ამსტერდამაც იღიმებოდა და შეილს თითქო არიგებდა: — კმარა, შეილო, არ ვარგა ცემა! — მაგრამ როცა კაპიტალიონმა მრისხანე თვალებით გადმოხედა მას, ხმა გაიკმინდა.




დაიწერეს ჯვარი. მართლაც ჩინებულად ცხოვრობდა ამსტერდამა. კაპიტალიონიც კმაყოფილი იყო ახალგაზრდა ცოლით, რომელმაც ქმარს გააცნო, მსახურთა

მალე გაიზარდა ფაშო. — მამაჩემო, გავიგე, რომ დედაჩემი სხვა წრიდან ყოფილა წარმოშობილი და შესირცხვება მისი დედობა.

კაპიტალიონი აივნიდან უყურებდა და იგიც შეილივით ხარხარებდა. — „რაც მოვივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“. — ამბობდნენ მსახურნი.



ნ.ბ. კრუტკოვის.



# არ სიამოვნოვბთ

— ეს არის ჩვენი უბედურება, რომ ერთსადიგავე დროს ორ საბუ-  
ჯაბრუბა: თავის მშენებლობასაც იცავს და მშვიდობიანობასაც!





—ქობილო, ტყუილად გგონიათ, რომ გაბუნებთ კომუნისტების სიმტკიცეს. სულ სხვა ჯურის ხალხი მო-  
ფილან; ჩემს საფიქრლოში ჩადილ რით პოლიუსზე გაუგებლად სტიქიას და გამარჯვებული დაჯილდოვან  
ფილიტის ბანაქიდან. ასე გამარჯვებულნი დაბრუნდებიან თქვენს კონც-ლაგარებში!

## ს ა რ ა ე ვ ო დ ა ნ

დიდი-ბრიტანეთის ლომს კლან-  
ჭები თათში ჩაემწყვდია და წყნარად  
სთვლემდა.

ეს იყო სრული ოცი წლის წინად.  
როდესაც სარაევოში მეელი (ერც  
ჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი) მო-  
კლეს, ბებერი ლომი დიდი - ბრი-  
ტანეთისა გვერდზე გადაბრუნდა და  
წაიბურტყუნა:

— ვინ ეშმაკია იქ რომ აჩხაკუ-  
ნებას?... თვალი არ დამივსონ.

სტყუოდა ბებერი ლომი. იგი ყვე-  
ლაფერს ხედავდა და თუ საგარეო  
საქმეთა მინისტრი სერ ედუარდ  
გრევი ქვეყანას აჩუბებდა — ნუ ხმა-  
ურობთ, ლომს სძინავსო — ეს იყო  
მხოლოდ იშკილი, მეტი არაფერი.

მგლის სიკვდილის გამო აღშფოთე  
ბული ტურები ავსტრო-უნგრეთს აყ-  
რუებდნენ და ბებერ ფოცხვერს

ფრანც-იოსებს ცხვირში უღიტინებ-  
დნენ:

— გაიღვიძე დიდებულო, სერბია  
გვკამს...

გერმანიის ვეფხ-კაიზერ ვილ-  
ჰელმ მეორეს კბილები ისე გაელესა,  
რომ სხვა რომ არ ყოფილიყო შესა-  
კმელი, საკუთარ მუცელს გაიფატ-  
რავდა.

ცარიზმის რუსეთის კბილიანი და  
უკბილო დათვება — საზონოვები,  
უკბილო მჩხავანა კატის ნიკოლოზ  
მეორის გარშემო შემოკრებილიყვენ  
და უსისიანებდნენ:

— სსს! ეცო მაგ ფოცხვერს  
(ფრანც-იოსებს), ბებერია, თავეს  
ვერ იქერს, შენ რას გიზამს?..

ცბიერი მელა, ომი—ჰუანკარე—  
ვეროპაში დაძრწოდა და ნიბადას ამ-  
ხადებდა.

და უკანასკნელ მომენტში ბებერ-  
მა ლომმა თვალები გააჭყიტა და

კლანჭებ - მოღერებით შირევაზე გა-  
დავიდა...

### 10.000.000 სიცოცხლე

კისერზე აწვეთ ეს უმძიმესი ლო-  
დები მთელი ქვეყნის მტაცებლებს.

გავიდა ოცი წოი და—  
დიდი — ბრიტანეთის ბებერი ლო-  
მი ისევე მრავალმნიშვნელოვნად გატ-  
რუნულია.

გერმანიის ვეფხი საქვეყნოდ ღრი-  
ალებს, უფრო შემზარავად, ვიდრე  
მისი წინაპარი.

იაპონიის ფოცხვერი კარგა ხანს  
სწოვს ახალი მსხვერპლის სისხლს და  
თან სხვაგანაც საბრძოლდ ემზადება.


ხოლო უკბილო დათვებისა და  
მჩხავანა კატის ქვეყანაში დევები-  
ვით ღვანან ფოლადის ვაჟაკები,  
ფოლადის კუნთებით, ფოლადის ნე-  
ბისყოფით, ახალი ცხოვრების ელ-  
ვარე გზით.

ტარსიტი.









ნაწილები გაშევის მოთხრობიდან

ჩეხელი მწერლის იაროსლავ გაშევის ნაწარმოები „ყოჩაღი ჯარისკაცის შვიკის თავდასასვლი მსოფლიო ომში“ ასოლიო მნიშვნელობის ნაწარმოებია, რომელშიაც მხილებულია მომავლადი კაპიტალის სილაშქლე და გამოფიტვა. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოები უმთავრესად ენება შინდელი ავსტრო-უნგრეთის ჯარის ცხოვრებას, ის ამგვ დროს იძლევა საზოადოდ მთელი ბურჟუაზიული წესწყობი ლების დახასიათებას. ამიტომაც ამ ნაწაროებს ბურჟუაზია ამრეხით უტყერის. სამაგიეროდ მშრომელ მასებსა და საზოადობის სხვა ჯანსაღ ფენებში „შევიკი“ ხელიდან ხელში გადადის და ერთერთი პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიო ჰუმორის ტულ - სატირულ ლიტერატურაში.

მისი ავტორი იაროსლავ გაშევი გარდაიცვალა 1923 წელს.

და არაფერს ამბობდა. მას მიუხალოვდა მეორე, დაჯდა მის წინ და ჰკითხა:

- წაიკითხეთ?
- არაფერიც არ წამიკითხავს.
- გაიგეთ?
- არაფერიც არ გამიგია.
- იცით რაშია საქმე?
- არ ვიცი, არ არის ჩემი საქმე

და არც მაინტერესებს. ანდა რა უნდა იყოს შვე ჩემთვის საინტერესო? — თქვენ მგონი არც სარაევოში მომხდარი მკვლელობა გაინტერესებთ!

— მე არავითარი მკვლელობა არ მაინტერესებს. ამისთვის არსებობს შესაფერი დაწესებულება. თუ სადმე ვინმე მოკლეს. ასეც ეკადრება მას, ასეც უნდა. კაცი არ უნდა იყოს ისეთი სულელი, რომ სხვას თავი მოაკლევინოს... მე არ ვარ დამნაშავე... მე არ ვარ დამნაშავე!

— იესო ქრისტეც არ იყო დამნაშავე, მაგრამ იგი მაინც ჯვარზე აცვეს. არასოდის. არსად და არავინ დაინტერესებულა უდანაშაულო კაცის ბედობლით! — უთხრა შევიკმა და დაწვა დასაძინებლად.

ამ დროს საკანში შემოიყვანეს მეტრაქტირე. რომელმაც დანახვითანავე გააღიძა ნაცნობი შევიკი და უთხრა:

— დავილუპე, მეც აქა ვარ! შევიკმა აღფრთოვანებით ხელმ ჩამოართვა და უთხრა:— ძალიან სასიამოვნოა. მე ვიცოდი, რომ პოლიციელი შეასრულებდა თავის სიტყვას რომ დაგპირდა თქვენთანაც შემოვივლიო. მთავარია სიტყვის შესრულება.

შევიკმა აუხსნა მეტრაქტირეს, რომ ყველანი, ვინც აქ სხედან, ვარა ერთისა. დაპატიმრებული არიან ერცვერცოვის მკვლელობის გამო...

მეტრაქტირემ შეურაცყოფილად იგრძნო თავი და ამაყად განაცხადა, რომ იგი არა ვილაც ოხერი ერცვერცოვის გამო ზის, არამედ თითონ იმპერატორის გამო:

— ტრაქტირში იმპერატორის სურათი მეკიდა; წყეულმა მწერებმა დამისაგრეს და, აი, ციხეში ამოხაყოფინეს თავი. მე მათ ვაჩვენებ სეირს, როგორ უნდა იმპერატორის სურათის ფეხისადვილად გადატყევა! — ემუქრებოდა მეტრაქტირე ბუზებს.

— ჩვენი ფერდინანდი მოუკლავთ! — უთხრა შევიკს მსახურმა. შევიკი რამდენიმე წლის წინად უფარვისად ცნეს ჯარში, და რადგან საექიმო სკომისიამ სულელად მონათლა, მან მიატოვა სამხედრო სამსახური და ეზოს ძაღლებას მოშენებას მოჰკიდა ხელი.

რომელი ფერდინანდი, ქ-ნო მიულერ? — დაინტერესდა შევიკი. — შევიკი ორი ფერდინანდი. ერთი მსახურობს ფარმაცევტ პრუშთან და მან ერთხელ შეცდომით თმის ზეთი დალია. კიდევ ვიცი მეორე ფერდინანდი კოკოშკუ, რომელიც ავროვებს ძაღლის განავალს ტყავის დასახელად. არც ერთი მათგანი არ მეცოდება.

— არა, ბატონო, ერცვერცოვი ფერდინანდი მოკლეს. აი ის, კონოპიშჩეში რომ ცხოვრობდა, სქელი, ღვთისნიერი.

— ოი, იესო, ღვთისმშობელო! — წამოიძახა შევიკმა. აი-აი-აი! სად შეემთხვა ეს ამბავი ბატონ ერცვერცოვს?

— ამბობენ, სარაევოში. რევოლვერით მოკლესო. თავისი მეუღლით მიემგზავრებოდა ავტომობილით.

— უყურე ამას, ქ-ნო მიულერ! ავტომობილით მიემგზავრებოდა. რა თქმა უნდა ასეთ დიდ ბატონს შეუძლია თავისთავს ამისი ნება მისცეს. ალბათ ვერ მიხვდა, რომ ავტოთი უეთი ვასილენება ცოლად გათავდებოდა...

— ამბობენ, ბატონო, რომ მკვლელები ბლომად იყვნენო.

— ეს თავისთავად ცხადია, ქ-ნო მიულერ. თქვენ რომ, მაგალითად, მოისურვოთ მოკლათ ერცვერცოვი ან მეფე, სურვილის სისრულეში მოყვანამდე არ გაწყენდათ ვინმეს მოლაპარაკებობით ამის შესახებ. მეტი თავი—მეტი ჰკუა; ერთი-ერთს გიჩრჩევს, მეორე-მეორეს და ამგვა-

რად „გზა გაკაფულია ძილწვეები-საკენ“, როგორც ამას ჩვენს ჰიმნში მცერიან ხოლმე. მთავარია — იყნოსო როდის რომელი ბატონი გამოივლის მახლობლად. განსოვთ ლიუკენმა სეირნობისას ქლიბით, როგორ მოკლა ჩვენი საწყალი დედოფალი ელისაბედი? მას შემდეგ დამერწმუნეთ ვერც ერთი დედოფალი ვერ ბედავს თავისუფლად გასეირნებას. ასეთი ხვედრი ბევრ დედოფალს მოვლის.

აი, ნახეთ, ქ-ნო მიულერ, თუ ისინი არ მიაღწევენ რუსეთის მეფესა და დედოფალამდე, რაკი უკვე დაიწყეს მისი ბინიდან. ამას წინად ტრაქტირში ერთი მოქალაქე ლაპარაკობდა: „დადგება დრო და ეს მეფეები ვაფრინდებიან რიგრიგობით ერთიმეორეზე და მათ ვერ უშველის ვერავითარი პროკურორი“. ამ მოქალაქეს ფული არ აღმოაჩნდა ჯიბეში ლუდის გადასახდელად და მეტრაქტირემ აღიცივა გამოიძახა. მოქალაქემ კი მეტრაქტირის სილა გააწნა ყბაში ერთჯერ, ხოლო პოლიციელს — ორჯერ. ასე წაიყვანეს იგი გოდრით გამოსაფხიზლებელ კამერაში.

სარაევოში მკვლელობამ პოლიციის უბნების საკანები გაავსო უამრავი პატიმრებით.

— თქვენ ძვირად დაგიჯდებათ ფერდინანდი! — იმუქრებოდენ პოლიციელები.

როცა შევიკი შეაგდეს საკანში, მას იქ ბლომად დახვდა ნაცნობი. შევიკმა ყველას გამოკითხა დაპატიმრების მიზეზი და ყველასგან ერთნაირი პასუხი მიიღო:

- სარაევოსთვის.
  - ფერდინანდისთვის.
  - ერცვერცოვის მკვლელობასთან დაკავშირებით.
- ერთი მოქალაქე კუთხეში იჯდა



# ეკლესია ფაშიზმის სამსახურში



ქართველი  
კომუნისტური  
პარტია


ნ. ჯიქიაშვილი

მიუნხენში (გერმანია) ფაშისტებს სხვადასხვა იარაღების საწყობი მოწყობილი ჰქონდათ ეკლესიაში.



პრისტა: —სენა... სწორება მარჯვნივ... იარაღით ნელში





ნახ. შმერლინგის.

„ზოგიერთ ტრესტში ადგილი აქვს „ოვლინებული თანამშრომლების“ მიერ სახელმწიფო ქონების ფლახვასა და ხელშეკრულების გაუქმებლად.“



ჩვენში, როდესაც დაარსდა ტრესტი „ბურღლა-წიწი“, იქ სამსახურში ასეთი ხალხი განაწესეს. ვინ ღირსია და ვინ არა—ეს თუ ვინმემ იცის უყოყმანოდ შეშიძლია მე მოცემა ფიცის! ამნაირი ხალხი ვანა იქმდა რამსიკეთეს? საქმე მხოლოდ გააფუჭეს და არ გააკეთეს! მაგრამ მაინც გაატარეს აქ თვე ხუთი-ექვსი, ამ ხანში გამოუთხარეს ტრესტს სულ ძირი-ფესვი!

### დირექტორი-4 ლორით!

— ერთი, ორი, ერთი, ორი, გამისუქდა ჩემი ლორი! — ლილინებდა ტფილისის ლუდის ქარხნის დირექტორი ტარასი ლეზანაძე და კმაყოფილი ათვალისებდა თავის ლორებს — მაშკა, მაშკა, ღრუტ, ღრუტ — მიუაღიერა ტარასიმ მათ და ნიშნად ღრუტის კეფისა ღრუტუნები მისვე გარს შემოეხვიენ, დაუწყეს ალერსი, როგორც იშვიათ მოამაგეს და პატივისმცემელს.

— ბიჭო, კაკოლა, არ მიაკლო საქმელი, ხომ იცი კიდეც უფრო უნდა გამისუქო ესენი, აქამე, კარგად აქამე იცოდე, თვარა შავ დღეს დაგაყრი თუ მაგათ რაიმე დაუშავდათ!

— მესმის ბატონო, განა ვახსენება მჭირია? მე მაგათ სხვებზე მეტად

ვაასუქებს და ჯანს მოუმატებს! — კარგი შენი კვენსამე!



ვაპატიებ და თავზე ვეველები, თქვენს ბრძანებას აბა როგორ დავივიწყებ!

— მიუგო მელორემ. — ლუდიც დააღვივნე, ლუდიც

როცა სადილისთვის სახლში დაბრუნდა ტარასი — გაწყობილ მაგიდაზე შემბრაწული გოჭი მადის-აღმძვრელად გამოიყურებოდა. ტარასიმ ნერწყვი გადაყლაპა და დამაყვავებელი ხმით მიმართა ცოლს:

— აბა, გენაცვალე, ღვინოც თუ ჩაიცავე მთლად კარგი ჭალი იქნები! — და გაწყობილ სუფრას მიუჯდა.

— მერე როგორ, გენაცვალოს ჩემი თავი, შენ მოიტანე და დამხადე და მორთმევა ჩემი შნო იყოს — მიუგო ცოლმა და გოჭის შებიწკინე





როცა გამბდარი კისერი კარგად გაისუქეს,  
მათ ცუდი ნამოქმედარი უძაგეს, არ უქეს.  
როდესაც უკან პანდური მაგარი ამოჰკრეს,  
გამგზავრების დროს ბოღჩებში ნადავლი გამოკრეს!  
„ბურღლა-წეწეს“ ტრესტის, თუმცა, გამოკადა წირვა,  
მაგრამ მან ჯერ ვერ მოასწრო უფსკრულში ჩაძირვა,  
მის მაგიერ „ნაცარ-ქექეს“ ტრესტი აღმოცენდა.  
მასაც ეს ბედი ეწევა,—ჩემს წინათქმას ენდეთ!

ბული კანჭი ქმარს მიაწოდა.  
— ეს შენი სადღეგრძელო იყოს  
ჩემო გერიტო.—და ტარასიმ გოჭის  
სორცს ღვინო დააყოლა.  
— ესეც შენი კარგად ყოფნის  
იყოს ჩემო ტარიელ — მიმართა ცო-  
ლმა, ღვინო მოწრუბა და ქმარს შე-  
ხედა—მაინც რა მოხერხებული და  
ყოჩაღი ხარ გენაცვალე, ქარხნის  
დირექტორად, რომ დაგნიშნეს არ  
გამკვირვებია, მარა იქ ამდენ ღორებს  
თუ მოაშენებდი და ასე ბედნიერად  
მოაწყობდი ჩვენს ცხოვრებას—ეს აბა  
ვის არ გაახარებს ჩემ ომშენიერო.  
— მაშ, ბიჭი უნდა ვარგოდე და  
ქვეყანა შენია! იმ რვაასი მანათით—  
ერთი ღორი რომ გავყიდე—შენ სა-  
კაბეს ვიყიდი, კარგ საკაბის! ცოტა  
ხნის შემდეგ ორსაიკ ვაყიდი, ჩემთ-  
ვის საზამთრო შუბა უნდა ვიყიდი!  
თუ კარგად გამისუქა კაკოლამ ღო-

რები! ვეუბნები აჭამე, ბევრი აჭამე,  
საჭმელი კი 'ვის მეთქი და ვნახოთ.  
— აქმევს, როგორ არ აქმევს გე-  
ნაცვალე, მარა... ცოტა სიფრთხილედ  
არის საჭირო; დირექტორი და დიდი  
კაცი კი ხარ, ადვილად ვინრას გა-  
გიბედავს, მარა რაც უნდა იყოს ოთ-  
ხი ღორის შენახვა სახელმწიფოს  
ხარჯზე არც ისე ცოტა საქმეა.  
— ფიქრი ნუ გაქვს, შენ კარგად  
იყავი და ტარასის ნუ გეშინია,—და  
ტარასიმ უკანასკნელი ჭიქაც გადაუ-  
ძახა ჩანაში.  
— ქარხნის დირექტორი ლებანიძე  
გვინდა, გაზეთის თანამშრომელთა  
ბრიგადა ვართ, ქარხნის მუშაობა  
უნდა გამოვიკვლიოთ!... მიმართა  
ახალგაზრდამ ტარასის და ნებართ-  
ვა მოითხოვა.

— ბრიგადა-რიგადა მე არ ვიცი,  
აქ ფეხსაც ვერვინ შემოდგამს, თუ  
მთავარი ტრესტის ნებართვას არ მო-  
მიტანს! მერე და რა საჭიროა ბრიგა-  
და, მე თვითონ ვარ ბრიგადა და დი-  
რექტორიც, თქვენზე კარგათ ვიცი ჩე-  
მი ქარხნის საქმეები! აქედან დაიკარ-  
გეთ!—და ტარასიმ იფრინა ბრიგა-  
დელები. — მაგრამ ნაადრევი გამო-  
დგა ტარასის იმედი... ბრიგადამ შე-  
ამოწმა „ღორებიანი დირექტორის“  
საქმენი, მეორე დღეს ტარასი და-  
ლონებულად დაბრუნდა შინ, ცოლმა  
დანახვისთანავე მიმართა:  
— რა მოგვიღია გენაცვალე,  
მკვდარს გაგებარ!  
— ბრიგადა, ბრიგადა, დავიღუბე,  
დავიღუბე, სიცხიანივით ბოდავდა  
ტარასი.



# არ მოგვდარა, მხოლოდ...

არიან ისეთი კატეგორიის ადამიანები, რომელთაც ბრძოდ სჯერათ ყველაფერი, რასაც ცოლი იტყვის.

არიან ისეთები, რომელთაც არაფერი არ სჯერათ.

ისეთებსაც შეხვდებით, რომელთაც ზოგი რამ სჯერა, ზოგი არა, იმერულად რომ ვთქვათ, „ქეც სჯერათ და არც სჯერათ“.

მასაც „ქეც სჯეროდა და არც სჯეროდა“, როცა სენაკიდან მიიღო შემდეგი შინაარსის დებეშა: „თუ ოცში არ ჩამოდი, მკვდარს მნახავ“.

ცოლთან მას არასოდეს არ ჰქონია უსიამოვნება. ავადაც არ ეგულებოდა. აპიტომ მოულოდნელი იყო ასეთი ულტიმატუმი. და ერთობ შეიპყრო შიშმა, მიუხედავად იმისა, რომ „ქეც სჯეროდა და არც სჯეროდა“.

— კარგი, ვთქვით მაშინებს... მაგრამ ვაი თუ არ მაშინებს... ვაი თუ მართლა სერიოზული რამეა... ვინ იცის იქნება რამე ამბავი ჩაუტანეს, რამე ჭორი უთხრეს, ჩააწვეთეს გესლი, რამაც ქუაში შეუხიჩინა და გადაწყვიტა თავის მოკვლა! ან ვედარ აიტანა მარტობა!..

მას ბევრი აღარ ყფიქრია და გავზავნა დებეშა: „ოცში მანდ ვიქნები“.

მისი სული აბობოქრებულ მდინარეს ჰგავდა, როცა ყახლოვდებოდა ადგილს, სადაც უნდა გამოჩვენებულიყო ყველაფერი.

ოცი ივლისია... მატარებელი იგვიანებს... დაადგა საშველი. უკვე ეტლში ზის... ეტლი იგვიანებს, რადგან მგზავრების „ქვირუმი“ არ მოსრულდა... საღამოვდება...


— ვაი თუ მოკვდა... ქალი ისეთი არსებაა, რომ უბრალო ბრაზსაც კი, შეუძლია სასიკვდილო გავლენა იქონიოს მასზე, თუ ამას თან დაერთო გამახელებელი უმნიშვნელო ფაქტიც — ფიქრობდა ის.

და ასეთი გამახელებელი ფაქტის როლი ითამაშა სწორედ იმ საპასუხო დებეშამ, რომელიც ჩვენ ზემოდ დავსახელებთ და, რომელიც დანიშნულების ადგილას მივიღა შემდეგი სახით: „ოცში არ ვიქნები“.

უკვე ყველაფერი მზად იყო: შუშებში სხვადასხვა სითხე მოსჩანდა, იქვე იდო რევოლვერის ბოხჩა, სიკვდილი ანუ, ყკეთ რომ ვთქვათ, თვითმკვლელობა შეაჩერა მხოლოდ კბილის ატკივებამ, რამაც საერთოდ მძლავრად იცის თავის გამოჩენა ნერვიულობის დროს.



ომის თავი—ვილჯელი



ქმარმა სწორედ მაშინ შეადო კარი, როცა ცოლმა პირში ჩაიდო ზაღაც და მიწვა ლოგინზე.

— ესე იგი, ვედარ მოვუსწარი მოიწამლა თავი... ვაი ჩემს დღეს, ვაი ჩემს გაჩენას — ბლოდა და ჰყვიროდა ის, მაგრამ ცოლს მალე დაავიწყდა თავისი ბრაზიც, კბილის ტკივილიც და შემოეხვია ქმარს ძახილით: „ნუ გეშინიან, ცოცხალი ვარ“.

— გააღე პირი, გააღე ჩქარა—ყვიროდა ის და დამშვიდდა მხოლოდ მაშინ, როცა ცოლმა კბილიდან ამოიღო იოდით გაუღენთილი ბამბა.

ამის შემდეგ მოხდა ახსნა — განმარტება... ეს საინტერესო არ არის. როცა დებეშის პასუხს არჩევდენ და ის იყო უსიამოვნება უნდა ატენილიყო, მეზობელნი დაიძახა: მგონი თქვენი სიძე ჩამობრძანდა, განათლებული კაცია და იქნება გაიგოს ამ დებეშის შინაარსი“.

და მიართევს მას წასაკითხად შემდეგი დებეშა: „სალომე გარდაიცვალა, ვსაფლავებთ ეფროსინეს ხუთ-შაბათს...“

- დაა!
- ორივე მკვდარია, ბატონო?
- დაა!

— არა ხუ დაგებათრებათ, პირდაპირ გვითხარათ.

— დაა! — იძახოდა ის კბილების კაწკაწით... ბოლოს დასტაცა ხელი ორივე დებეშას (თაისას და მეზობლისას) და გაექანა სენაკის საფოსტო განყოფილებისაკენ.

და მე მას შეეხვდი სწორედ მაშინ, როცა ის ფოსტას უახლოვდებოდა.

— მერე რა, ხომ მშვიდობაა? ხომ არავინ მომკვდარა? შევეკითხე გაცივებული სახით.

— ვინ გაიგებს აქ ვინ მოკვდა და ვინ ცოცხალია, — გაცეცხლებულ სახით მიპასუხა.

— თქვენი ცოლი ხომ...

— არა, არ მომკვდარა, მხოლოდ ხომ შეიძლებოდა მომკვდარიყო, — მიპასუხა მან და შეადო ფოსტის კარი.

რა მოხდა შემდეგ ამის შესახებ, არ გვაქვს ცნობები.

მხოლოდ სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ მეზობლის დებეშის შინაარსი. ვარდაცვლილა ბათლომე და დებეშას ხელს აწერდა ეფროსინე, რომლის დასაფლავებაც სულ უსაფუძვლოდ მოიწადინა სენაკის ფოსტამ. **სამხიარ-ბანე-შეის.**




# ჭაეროვანი ხელმძღვანელობა

ეროვნული  
გეგმობითა

ნახ. შმერლინგის

„ზოგიერთ საღმშ. ამხანაგობის ინტენური თავისი ნებით ტოვებს სამუშაოს და აგარაკზე ისვენებს“.

(ვაზეთებიდან).



— ვიშ, რა კარგად მოქმედებს ეს სუფთა ჭაერი. ჩემს მსუღველობაზე! მშენივრად ვხედავ ტფილისში ჩემ მიერ დაწყებული სახლის მშენებლობა როგორ მთავრდება!

## ახირმეული ვეზაპროუბა

მატარებელში ტვბილად ძეძინა, მაგრამ ვილაკამ შემახჯღრია და ზეზე წამომაგლო. ოოცა გონს მოვედი, ჩემ წინ მატარებლის გამცილებელი იღვა.



- მოქალაქევე. თქვენ საღ მიღიხართ?
- შემიკითხა იგი.
- მე?.. სა ღვართ ახლა?..
- უყვე ნოსირიდან გავდივართ.
- ჩემს საღგურს გავშორებია... გა- მიელვა უყვე თვეში და დაუფიქრებლად გაღმოვხტი გაქანებული მატარებლიდან. გაღმოვხტი და რამოდენიმე მეტრზე ბურთივით გავგორდი. წამოღვომამდე ზურგზე ჯოხის ბაგა-ბუგი მომესმა და ზურგი სა- მინლად ამეწვა. ვილაღ დედაკაცი თან ილაამდებოდა და თან ჯოხს მცემდა. თურ- მე ჩამოხტომის დროს მისი ბატის ორი ქორფა წიწილი გამესრისა და ჯოხის ცე- მით „პკუას მასწავლიდა“. შეშინებულმა ჩრდილოეთისაკენ მოვეკურცხლე და მდი- ნარე ტეხურთან შევეძეძე.
- ჩემ სიხარულს საზღვარი არ ქონდა, რო- დესაც ერთი ნაბდიახი კაცი მოვიდა და მომესალმა. ვინაიდან არ ვიცოდი, თუ საღ ვიყავი, მაშინათვე შევეკითხე:
- ა, ეს რა ადგილი არის?..
- ეს?.. ეს მესამე ნოსირი გახლავით.
- ძალიან კარგი. ალბად თქვენც აქაუ- რი ბრძანდებით?..
- დიახ, ვახლავარ!
- ერთი ეს მითხარით, თქვენ აქ სკო- ლის შენობა დასწვით ერთხელ! ხომ მარ- თალია?
- დიახ, მართალია.
- ისევ ააგეთ, მაგრამ ისევ დაწვით მე-

- ორეჯერ, არა?..
- დიახ, მართალია, თქვენ რა გესაქმე- ბათ მერე?!
- მე ნიანგმა გამომგზავნა გამოსაძი- ებლად, მაშ თქვენ ორი შენობა დასწვით არა?..
- დიახ, მართალია, — ღიმილით მიბა- სუხა მან.
- ეს ხომ ბოროტება... ეს ხომ სისაძა- გლეა თქვე... თქვენ... დავიწყე ყვირილი. მოპირდაპირესაც გაბრაზება დეტყო და მიბასუხა:
- თქვენ ამბობთ ნიანგის გამოგზავნი- ლი ვართ... ვის ატყუილებ შე საწყალი. შენ, ა?!.. ბეცი ხარ ვილაღა, ბეცი. „კლას- თა ბრძოლა“ კიდე ვერ შეგისწავლია.
- რას მიედმოედები, შენ იმაზე მიბა- სუხე, რაზედაც მე გეკითხები.
- დიახ, დიახ, მე მართლს მოგახსენებ, ჩვენ „უკლასო“ საზოგადოებას გქმნით და ამიტომ ჩავდივართ ასე... წალი, წალი, ბი- დი. ჯერ ისწავლე და მერე იმსახურე. — მითხრა და წავიდა. დავრჩი ამ შემთხვევით გაშეშებული, მაგრამ მომავლად უყვე მა- ტარებლის გასვლის დრო იყო, ავიბარებ და გავსწვი ბაქინისაკენ.
- მოქალაქევე, თქვენ აქაური ბრძანდე- ბით?..
- დიახ, აქაური, შუა ნოსირელი გაბ- ლავარ, რა გნებავთ?..
- მე ნიანგმა გამომგზავნა, ცოტა რამ უნდა გეკითხოთ...
- ბრძანეთ...
- თქვენ აქ ერთხელ დასწვით ამას წი- ნად კოპერატივი არა?..
- დიახ, მართლს ბრძანებთ!
- ახლა კიდე დასწვით არა?..

- დიახ, კიდე ძეორედ. ზამთარში ცი- ოლა და ცოტა გავთბით.
- გიჟი ხარ, რას ბოდავ?..
- დავწმუნდი, რომ ახირებულ კაცთან მქონდა საქმე და გავშორდი...
- უყვე მიუახლოვდი ორ მოსაუბრეს, ფანქარი მოვიმარჯვე და მათი სიტყვები- დან ჩავწერე შემდეგი:
- ღმერთი არ არის. წმინდა გიორგი არ არისო ამბობენ, ჩემო პეტრე, მაგრამ ტყუ- ილია, არ უნდა დაუჯეროთ...
- როგორ, რითი შეგიძლია დაამტკიცო მათი არსებობა?
- ფაქტით, ჩემო პეტრე, ახლავე დავი- მტკიცებ: ვახსოვს ჩვენი დიდი ტყის მა- ლალი ხეები?
- მახსოვს.
- ჰოდა მაშინ თურმე ეშმაკები იშ ვე- ებერთელა ხეებში ემალებოდენ წმინდი გიორგის. ამიტომ იყო წმინდა გიორგი თავის ლახვარს უშენდა იშ ხეებს და ცეცხლს უჩენდა. ახლა ჩემო პეტრე, ისე- თ დიღორნი ხეები აღარ არის ჩვენში, სა- მაგიეროდ ეშმაკები კოპერატივში ემა- ლებიან წმინდა გიორგის, მაგრამ დაილო- ცა მისი ძლიერება, აქაც ნახულორს ეშმა- კებს, ესერის ლახვარს და ცეცხლს უჩენს, ამიტომაა კოპერატივები როზ იწვევა და ნადგურდება ამხანად.
- ამის შემდეგ კიდე არ გჯერა ჩემო პეტ- რე?..
- მჯერა, მჯერა. დაილოცა მისი ძლი- ერება... — მიუღო პეტრემ და ორივე პირ- ჯგერის წერას შეუდგენ. ამ დროს მატა- რებელიც მოვიდა და მეც გავვეშურე ნი- ანგისაკენ.



ნახ. გულისაშვილის.



სწავლის დაწყებამდე..

სწავლის დაწყებისას..

— შევაკეთოთ სკოლის შენობა, თორემ წაიქცევა!  
— ჯერ აღრეა, სწავლა როცა დაიწყება, მაშინ შევაკეთებ!

# მიზან-მიზან

— შევაკეთოთ სკოლის შენობა, თორემ წაიქცევა!  
— ახლა გვიანია, მაშინ შევაკეთებ, როცა სწავლა დამთავრდება!

## ქუთაისო რაშიგან ხარ

## სიზმარის ხსენა (მოკლუთისათვის)

ქუთაისო, რაშიგან ხარ უკურნელი რა ზნი გვირსა. უზნეურსა სუფრას უშლი და იმატებ ჭირზე-ჭირსა. ვინ არ იცნობს ლომთათიძეს აფთიაქის რწმუნებულსა, ინტრიგანთა მამამთავარს და ნუნუას მოყვარულსა. უსაქმურად დანაწარდობს და იმღერის „ტია-ტიას“, არ ივიწყებს საალერსოდ ლამაზმანებს, გულმკერდ ღაას. სოფლად მიმავრებულ პარტუიერს პარკელ აფორიქის მმართველს მოუგონა ჭორები და სხვა ცოცხალი ბნელი საქმე.

შეუღვინა აქტი ვითომ ჰქონდა ფულის დანაკლისი უმიზნოდ მოხსნა გამგი, რადგან მტრობა ჰქონდა მისი. აიყვანა თავის შტატი მფლანგველები შერჩეული, მოიშორა მოჭიშპე და დაიმშვიდა ამით გული. ლომთათიძეს ჩაეშალა მისი ხრიკი, საქმე ბნელი. თავის ადგილს დააბრუნეს აფთიაქის გამგი ძველი. აფთიაქის სამმართველოვ. გელოდებით დიდი ხანი, მოგვაშორე ლომთათიძე მავნებელი, ინტრიგანი.

კოსტაიდი.

◆ სამსონა კვაჭაძე ნახო სიზმარში, კარგია, იქეიფებ არტელ „წითელ მეწადის“ ფულეებით.  
◆ იბრაიმი ჯუმიძე ნახო—კარგია: ზურნა-დუღუკით იქეიფებ და ბუჭნას დაუვლი.  
◆ კომუნალური სასადილო ნახო სიზმარში — კარგია: თანამშრომელ ქალებთან მთვარის აბაზანების მიღება მოგიხდება.  
◆ კატუშა ბახტაძე ნახო სიზმარში—ცუდია მეორე ღღეს ხავერდის შარვალს დაკარგავ.  
◆ ვანო ხატელიშვილის სიზმარში ნახვა ნიშნავს მოწვევებისათვის საღამოებიდან შეგროვილი ფულების გაფლანგვას.

ფიცხი.



**სოფ. ბორითი.** (ხარაგოულის რაიონი) უგზო-უკვლოდ დაიკარგენ ს. ბორითის კოლ. ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებლები ელისაბედი და ქსენია, რომლებიც საქონლის ამოსარჩევად იყვნენ წასული კოოპერატივის საწყობში. კოოპერატივის ნოქრები ძლიერ დაალონა ამ შემთხვევაში, რომლებიც მწუხარებით ამბობენ: — აფსუს, რამდენი საქონელი დავკარგეთო!

—ტა.

**ხარაგოული.** ხარაგოულის რაიკოოპ. მალაზის ნოქრებს ნ. ჯანჯღავას და შენგელიას, „მათგან დამოუკიდებელ“ მიზეზთა გამო დაუშოკლდათ ფართლიულის საზომი მეტრები, რაიც მიუხედავად მომხმარებლების სამართლიანი აღშფოთებისა — ვარჯ ხასიათზე აყენებს თვით ნოქრებს და აფართოებს მათ „საქაფავ“ ასპარეზს.

კი.

### „სასწაული“

**აბაშა.** მოხდა სასწაული: — აბაშის „სოიუზპეჩატის“ კიოსკის გამგემ ამა თვის 15 მილიონ ყურნალ გაზეთები დანიშნულ დროზე, რაიც პირველია და ალბათ უკანასკნელი, რადგან მას შემდეგ ჯერაც არსად ჩანს ახალი ყურნალ გაზეთები. კიოსკის გამგეს ასეთი რამ არ აღეშინებდა, რადგან ძველი გაზეთის მარაგი საკმაოდ აქვს დაგროვილი.

5ი.

### უხადური შემთხვევა

**საჯავახო.** (სამტრედიის რაიონი) პოლიტაფოლედის მასწავლებელს ტარიელ მინდელს, როცა უკანასკნელი მოწაფე მაკარის სცემდა — შეეღონდა გული, სასწრაფოდ გამოძახებულ იქნა ადვ. ექიმი, რომელმაც შისაფიოი დახმარება აღმოუჩინა ავადმყოფს. ექიმის აზრით პედაგოგი დაავადებულია უკურნებელი სენით, რასაც ლათინურად ეწოდება: „მოწათეს ციმუს“.

—რდი.

### დაჯილდოება

**ზმსტაფონი.** დაჯილდოებულ იქნენ ადვ. კოოპ. ნოქრები ფერაძე და ჩინჩლაძე — პირველი სიზარმაცის და ლანძღვა - გინების ორდენით, მეორე გამცდენისა და მოლაყბის საპატიო სიგელით.

აბო.



**რაქვინასას** (კალ. მახარაძე — ყოფ. ოზურგეთი). გვწერთ, რომ „სილექსის დაბეჭდვა მდგომარეობას გადაჯანსაღებს და აღმოფხვრება ნაკლი“... არა გვჯერა, თუმცა თქვენს ლექსს უცვლელად ვებეჭდავთ.

ქალაქ მახარაძიდან მოვიდა ერთი გოგო.

ამბავი ჩამოგვიტანა სავსე მთელი გობი.

ახლად მონათლულ ქალაქში რა ამბები ხდება, აშმაკი რომ არსებობდეს — ისაც ვერ მიხვდება!

მარგალიტა და ოლია, ანიკო, თამარა, ღამით განყოფილებებში, პერანგის ამარა, თავს სრულიად თავისუფლად და თამამდ გრძნობენ, სხვაგან რაც უმოქმედიათ — აქაც განაგრძობენ!

წემო და ქვემო სართულში ქშენა და ქაქანი, ამ დროს უეცრად გაქრება საბეჭდი მანქანა!

„უნდერვულს“ კიდევ იმდენად აღარავინ ჩივა, უპალტოოდ ჩვენს აკაკის აკანაკლეს სცივა! ამნაირად გაუგიათ სიტყვა დამკვირვლობა.

ულაზათო ღლაბუცობა გონით ქველობა.

როგორც თქვენ წერთ — მარგალიტა, ოლია, ანიკო და თამარა ღამით განყოფილებაში არიან პერანგის ამარა. ხოლო აკაკის კი უპალტობის გამო ცივა ასეთ პაპანაქებაში აბა ვნახოთ ამ თქვენმა ლიქსმა თუ გადაჯანსაღოს მდგომარეობა და აღმოფხვრას ნაკლი.

**დამკვირვლს** (თელავი). თქვენი ლექსი ასე იწყება და თავდება:

ინდი-მინდი, ფერად-შინდი

გადაფრინდი, გადმოფრინდი

მოდი გულზე დამაფრინდი

ამიფრინდი, დამიფრინდი

შოდა ამდენ აფრენ-დაფრენაში და „ფრინდში“ თქვენი ლექსი პირდაპირ გოდორში ჩაფრინდა — ამდენ ფრენას აქ ყოფნა მირჩევნიაო.

**წმირას** (ქუთაისი). გვწერთ, რომ „მილიციელს საგუშაგოზე ჩამოძინებოდა და გამვლელ მოქალაქეს ერ-ხუბებოდა“-ო, და იმასაც დასძინებოდა რომ ეს სრული ჭეშმარიტება არისო.

ისე რა გითხრა თქვენ, როდის იყო, რომ მძინარე კაცი ჩხუბს მართავდა? ალბათ ასეთივე სწორი ცნობაა „ღარებკომის“ შესახებაც, და გამოსარკვევად გადროში გადავგზავნეთ. მაგრამ მესამე ცნობა კი სრული სინამდვილე იქნება და ამიტომაც ვასრულებთ თქვენს თხოვნას და მხ. დონს ვახატვინებთ თქვენს დაკვეთას.



გიორგი გაჭენებულ ცხენს რქაში ჩააფრინდა და თეთრხილთან ლივის გააჩერა. ამ დროს ხიდზე ურემში მყოფი ხარები დაფრთხენ, მაგრამ შეურემმ სტაცა მათ ხელი ფაფარში და გააჩერა.





ქვეყნული  
კომუნისტური

# ენაენები



ნახ. ნადარეშივილის.

ივპირილისტები (შვილობიანობის ანგელოზი): —რა გაცანცანებს, შე გლა-  
საკო, შენა? რისი გეზინია! შენ კი არ გეგრიტი, ჩვენ ერთგანეთს ვუ-  
მიზნებთ!

იმედი

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. 68.

მთავლიტის რწმუნებული ჩ-562